

საგადახდო დავალება N1  
 "10" მაისი 2014 წელი

რეკვირენსი  
 2735085780

გადამხდელის დასახელება: შპს თ.ა

ანგარიში (დებეტი) GE91BG0000000804577700  
 (ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:  
 სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი

BAGAGE22

გადასახდის გადამხდელის დასახელება: შპს თ.ა

საიდენტიფიკაციო კოდი 404469071

მიმღების დასახელება: ს.ს.ი.პ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში/სახაზინო კოდი GE52BR0000010591718543  
 (კრედიტი)

მიმღების ბანკი:  
 სს "ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი

REPLGE22

გადახდის დანიშნულება: შემსყიდველი - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო  
 ს/კოდი -204562311, შპს თ.ა ს/ კოდი 404469071, განცხადების ნომერი -1221

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი 

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

თანხა

50-00

თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსულის  
 თარიღი 13.05.14

გატარებულის  
 ბანკის თარიღი: 10.05.14

ხელმოწერა

შტამპის ადგილი





სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა #T32549-14

თბილისი

14 მაისი 2014 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „გარანტი“)

გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869

გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო

პრინციპალი: შპს თ.ა (შემდგომში „პრინციპალი“)

პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 404469071

პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, შხეფის ქ., № 1

ბენეფიციარი: სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში „ბენეფიციარი“)

ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 204562311

საგარანტიო თანხა: 500.00 (ხუთასი) ლარი

ვითვალისწინებთ რა, რომ პრინციპალი მზად არის წარმოადგინოს თავისი სატენდერო წინადადება ბენეფიციარის სატენდერო კომისიის მიერ მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის შენობის ადაპტაცია-განვითარების საპროექტო-საბარჯთაღორცხო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

სს „საქართველოს ბანკი“ ვიღებთ გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველყოფთ ბენეფიციარისათვის ჯამურად 500.00 (ხუთასი) ლარის გადახდას შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ სატენდერო წინადადების გახსნის შემდეგ პრინციპალმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრინციპალი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ბენეფიციართან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრინციპალი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტიის მოქმედების ვადა არის: 15 ივლისი 2014 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, ბენეფიციარის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაში მითითებულ იქნება, რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევების დადგომის გამო კუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი“ (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

წერილობითი ფორმით წამოყენებულ ბენეფიციარის მოთხოვნას საბანკო გარანტიაზე თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმოწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,

ეთერ ჩხეიძე

გარანტიების განყოფილების უფროსი



აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

\* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

\* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

\* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;


\* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

\* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

\* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე.

გავცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა 

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.



1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შპს თ.ა

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: თორნიკე ასაბაშვილი

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: თბილისი, 0105, შხეფის ქ. #1

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: თბილისი, 0105, შხეფის ქ. #1

საიდენტიფიკაციო კოდი: 404469071

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: +995 599 956715

ელექტრონული მისამართი: tornikeasabashvili@gmail.com

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE91BG000000804577700


2. საკონკურსო წინადადების ფასი: 50.000ლარი

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 30 დღე

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად:

ხელმძღვანელის ხელმოწერა





ადავტასია განვითარების პროექტი

# *მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის შენობის ადაპტაცია-განვითარების ესკიზური პროექტი*

## *განმარტებითი ბარათი*

*კონკურსანტი: შპს თ.ა*

*საიდენტიფიკაციო კოდი: 404469071*

### *საპროექტო ჯგუფი*

**თორნიკე ასაბაშვილი , პროექტის მთავარი არქიტექტორი - შპს თ.ა.**

სამუზეუმო პროექტირების სფეროში მუშაობის გამოცდილება:

2013 წელს, საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შერჩეული, დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია - განვითარების პროექტის მთავარი არქიტექტორი. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. თანდართული CV.

**ლევან ასაბაშვილი , პროექტის არქიტექტორი, ა.ა.ი.პ. ურბანრეაქტორი; ა.ა.ი.პ დოკუმენტო საქართველო.**

სამუზეუმო პროექტირების სფეროში მუშაობის გამოცდილება:

2006-2007 წლებში, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიწვევით მუშაობდა სპეციალისტად, თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლა) ისტორიული შენობის რეაბილიტაციისათვის საკონკურსო პირობების მომზადების პროექტში.

2006 წელს, კომპანია "არქიტექტორები.ჯი" ში მუშაობისას, კომპანიის საპროექტო ჯგუფთან ერთად მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო მუზეუმის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც "სამუზეუმო უბნის" სივრცითი გადაწყვეტის საუკეთესო იდეის გამოვლენას ისახავდა მიზნად. ამ კონკურსში ჯგუფმა მეორე ადგილი დაიკავა. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. თანდართული CV.

**გრიშა ჯაბუა - არქიტექტორი, პროექტის კონსულტანტი, კინოთეატრ "კარიბჭე"-ს ავტორი.**

1960იანი წლებიდან, მცხეთის კინოთეატრი "კარიბჭე"-ს, მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის, თელავის თეატრის და სხვა მრავალი განხორციელებული თუ განუხორციელებელი პროექტის მთავარი არქიტექტორი.

**დვით ქვეანიშვილი - კონსტრუქტორი, პროექტის კონსულტანტი.**

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. თანდართული CV.

## **შესავალი**

ჩვენი ჯგუფისთვის უაღრესად საინტერესო და საპასუხისმგებლო გამოწვევაა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა, რომელიც მცხეთის ყოფილი კინოთეატრ "მცხეთის კარიბჭის" არქეოლოგიურ მუზეუმად ადაპტაციის ესკიზური პროექტის შემუშავებას ისახავს მიზნად.

დოკუმენტო საქართველოს (საპროექტო ჯგუფის კონსულტანტი), როგორც ორგანიზაციას და საპროექტო ჯგუფის წევრებს, როგორც კერძო პირებს ჰქონდათ არაერთგზის მცდელობა საზოგადოების და შესაბამისი უწყებების ყურადღება მიექციათ საქართველოს მოდერნისტული მემკვიდრეობისათვის, რაც გამოიხატა არაერთი გამოფენის თუ კონფერენციის ორგანიზება-მონაწილეობაში. ამჟამად საპროექტო ჯგუფს საშუალება ეძლევა საერთაშორისო სტანდარტების და მეთოდოლოგიის დაცვით, შეიმუშავოს საჯარო საკუთრებაში მყოფი, გვიანი მოდერნიზმის შესანიშნავი ნიმუშის ადაპტაცია-განვითარების პროექტი, რაც ჩვენს ქვეყანაში იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს.

მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის შენობის ადაპტაცია-განვითარების ესკიზური პროექტის შემუშავებისას სამუშაო ჯგუფი შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობდა:

***1. ქალაქი მცხეთა, როგორც საქართველოს არქეოლოგიური ცენტრი და თბილისის აგლომერაციის ნაწილი.***

საქართველოს მასშტაბით ქალაქი მცხეთა გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების და განსაკუთრებით არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლით და მნიშვნელობით. ბოლო წლებში განხორციელებული უხეში ჩარევების მიუხედავად, ეს გარემოება ქალაქს საშუალებას აძლევს ჩამოყალიბდეს არქეოლოგიური კვლევის, განათლების და ტურიზმის

მნიშვნელოვან ცენტრად. ამ მიმართულებას ასევე ხელს უწყობს დედაქალაქთან უშუალო სიახლოვე და მასთან მჭიდრო კავშირი.

პოსტსაბჭოთა წლებში თბილისის სწრაფმა ზრდამ კიდევ უფრო დააჩქარა საბჭოთა ურბანისტების მიერ გაკეთებული პროგნოზები თბილისის აგლომერაციის წარმოქმნის შესახებ, რომლებშიც პირველ ეტაპზე თბილისის, მცხეთის და რუსთავის ერთ აგლომერაციულ გაერთიანებად მოიაზრებოდა. დღეს ქალაქი მცხეთა თბილისთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ფაქტიურად მისი აგლომერაციის ნაწილია. მაგალითისთვის, ამაზე მოწმობს თბილისსა და მცხეთას შორის დღის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილას გადაადგილებულთა რიცხვი; სხვა პატარა ქალაქებისგან განსხვავებით, მაღალი ფასები უძრავ ქონებაზე და ა.შ. დროთა განმავლობაში თბილისისა და მცხეთის ფუნქციური, ეკონომიკური და კულტურული დაახლოვება უფრო და უფრო ინტენსიური ხდება.

აქედან გამომდინარე, მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმს უფრო ფართე ეკონომიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ქსელში მოუწევს ჩართულობა, ვიდრე რეგიონული ქალაქის რიგით მუზეუმს და შესაბამისად საპროექტო წინადადება უნდა პასუხობდეს ზემოთ მოყვანილი გარემოებებით წარმოქმნილ უკვე არსებულ და სამომავლო მოთხოვნებს.

## **2. არსებული ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული და ტიპოლოგიურ-ფუნქციური რესურსი**

კინოთეატრ ”მცხეთის კარიბჭე“-ს შენობა საბჭოთა გვიანი მოდერნიზმის მნიშვნელოვანი ნიმუშია. ერთ ერთი მთავარი ასპექტი, რაც მას უნიკალურობას ანიჭებს არის შენობის ოსტატური ინტეგრირება არქეოლოგიურ ძეგლთან. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოში ამგვარ სივრცით გადაწყვეტას ანალოგი არ მოეპოვება. ამავე პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლი - თელავის თეატრის შენობა, რომელშიც გვიან შუა საუკუნეების ძეგლია ინტეგრირებული და რომლის ავტორიც ასევე ბატონი გრიშა ჯაბუაა, ბოლოდროინდელი უპასუხისმგებლო ჩარევების შედეგად ძლიერ დაზიანდა და დაკარგა ავთენტური მხატვრული ღირებულება. ყოფილი კინოთეატრის ნაგებობა გამოირჩევა არქიტექტურული კომპოზიციისა და კედლის მონუმენტური მხატვრობის სინთეზის მაღალმხატვრული გადაწყვეტით. მთლიანად შენობას ახასიათებს ამ პერიოდის კულტურული დაწესებულებებისთვის დამახასიათებელი მასალების შერჩევის და დეტალური დიზაინის მაღალი ხარისხი. ასევე აღსანიშნავია, ნაგებობის მიმდებარე ლანდშაფტის მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტის მაღალი ხარისხი. (კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნება დეტალური სახელოვნებათმცოდნეო კვლევა).

დღეს გლობალურ კულტურულ და სამეცნიერო წრეებში გვიანი მოდერნიზმის კულტურის მიმართ მზარდი ინტერესი არსებობს. ნაგებობის ადაპტაცია-განვითარების დროს მისი თავდაპირველი მხატვრულ-არქიტექტურული მნიშვნელობის შენარჩუნება მუზეუმს დაეხმარება წარმოჩნდეს, როგორც პროგრესული და თანამედროვე კულტურულ გარემოში ინტეგრირებული სამეცნიერო-კულტურული დაწესებულება. დამოუკიდებელი საქართველოს



ისტორიაში პირველად მოდერნისტული კულტურის ძეგლის სათანადო დაფასება ასევე სიმბოლურად ხაზს უსვამს მუზეუმის გარდაქმნას ფორმალური ტურისტული ატრაქციიდან რეალურ კულტურულ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცედ.

კინოთეატრის არსებულ ნაგებობას გააჩნია ტიპოლოგიურ-ფუნქციური რესურსი - სამაყურებლო დარბაზი დაახლოებით 300 ადამიანზე. ნაგებობის არქექტივი ზუსტად ესადაგება ამ პერიოდის სამაყურებლო დარბაზებისთვის დამახასიათებელ სივრცით გადაწყვეტას და მისი ფუნქციის შეცვლა დაარღვევს ნაგებობის ფორმისა და შინაარსის მთლიანობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ ტევადობის სხვა სამაყურებლო დარბაზი არ არსებობს ქ. მცხეთაში. ამდენად სამაყურებლო დარბაზის შენარჩუნებას, ტევადობის შემცირების შემთხვევაშიც, საქალაქო მნიშვნელობა ენიჭება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი სამაყურებლო დარბაზი არ გააჩნია არც ერთ სხვა რეგიონულ მუზეუმსა თუ მუზეუმ-ნაკრძალს და არც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. პირველ პუნქტში მოყვანილ არგუმენტებს თუ გავითვალისწინებთ, სამაყურებლო დარბაზის შენარჩუნება უაღრესად მნიშვნელოვანია თბილისის აგლომერაციის კონტექსტში მუზეუმის სამეცნიერო-კულტურული პოტენციალის განვითარებისთვის, რაც სასიცოცხლოდ წაადგება ქალაქ მცხეთის ფუნქციურ გამრავალფეროვნებას.

### ***3. მუზეუმის სამომავლო განვითარებისთვის წინმსწრები დაგეგმარება***

ზემოთ მოყვანილი არგუმენტების და საპროექტო დავალებაში გაწერილი მუზეუმის სამომავლო ხედვის შესაბამისად, ესკიზური პროექტის მომზადებისას, საპროექტო ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მუზეუმის იმგვარი დაგეგმარება, რომ ნაგებობა გათვლილი იყოს გრძელვადიან პერსპექტივში, მუზეუმის კონცეპტუალურ თუ მატერიალურ-ტექნიკურ განვითარებასა და ფონდების ზრდაზე.

### ***4. თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების მაქსიმალური დაცვა***

სამუშაო ჯგუფის მიზანია, პროექტირების პროცესი წარმართოს თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების, როგორცაა ცირკულაციის ორგანიზება, ექსპონატების მიღება ევაკუაცია და შენახვის პირობები და ა.შ. მაქსიმალური დაცვით.

## ***საპროექტო შეთავაზების აღწერა***

საპროექტო დავალებაში გაწერილი მოთხოვნების (სათავსების ფართობი, ზონირების პრინციპები, მუზეუმის განვითარების სამომავლო ხედვა) და ზემოთ მოყვანილი, ჩვენს მიერ შემუშავებული, დიზაინის სტრატეგიის გათვალისწინებით, საჭიროდ ჩავთვალეთ ყოფილი კინოთეატრის გვერდით ახალი ნაგებობა დაგვეგეგმა. ამის საშუალებას იძლევა არსებული

შენობის ჩრდილოეთით, საკადასტრო ნაკვეთში შემავალი 600კვ.მ. მდე თავისუფალი ტერიტორია.

არქეოლოგიური მუზეუმის ადაპტაცია-განვითარების პროექტში, ძველი და ახალი ნაგებობა ფუნქციურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ქმნიან ერთიან კომპლექსს. კომპლექსის პირველ სართულზე (ახალ ნაგებობაში), განთავსებულია მუზეუმის ადმინისტრაცია, საგანმანათლებლო პროგრამების სივრცე, საქალაქო მნიშვნელობის კაფე და (ძველ ნაგებობაში) მუზეუმის ფოიე, ბილეთების სალაროსთან, გასახდელთან და სანკვანძებთან ერთად, თითოეულ ბლოკს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი ეზოდან (იხ. ეზოს გამოყენების სქემა).

ვიზიტორები და თანამშრომლები **მუზეუმის ეზოში** ორი ძირითადი მხრიდან ხვდებიან. ფეხით მოსიარულეები აღმაშენებლის ქუჩიდან არსებული კიბის საშუალებით და ავტომობილით - საავტომობილო შემოსასვლელიდან. ტერიტორიაზე, არსებული შენობის სამხრეთით, ეწყობა მსუბუქი ავტომობილის ათი სადგომი, აღმაშენებლის გამზირზე კი, კიბესთან ახლოს ერთი ტურისტული ავტობუსის ავტოსადგომი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება აღმაშენებლის გამზირზე, საფეხმავლო კიბესთან ოცდაათიოდე მეტრშია, რაც ასევე აადვილებს მუზეუმთან მოხვედრას. ეზოში მოხვედრა ასევე შესაძლებელია მეორე კიბით, მუზეუმის ეზოს უკან (დასავლეთით) გამავალი კარიბჭეს ქუჩიდან. (იხ. გენგეგმა, გვ.2 და ეზოს გამოყენების სქემა, გვ.14)

**პირველ სართულზე** არსებული ბლოკებისათვის დამოუკიდებელი შესასვლელების არსებობა უზრუნველყოფს მუზეუმის ეზოს გამოყენების ინტენსივობას, სადაც არსებული ნაგებობის ქვეშ მდებარე არქეოლოგიური ძეგლი, ეზოში არსებული ფუნქციების და შესაბამისი მარშრუტების ცენტრში ექცევა. ფეხით მომავალი ადამიანი, მოედნიდან კიბეზე ამოსვლის შემდეგ, ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობისას (საქალაქო კაფისკენ, საგანმანათლებლო პროგრამების სივრცისკენ, ადმინისტრაციისკენ თუ მუზეუმის შესასვლელისკენ), არქეოლოგიური ძეგლის უშუალო სიახლოვეში ან გასწვრივ გადაადგილება უხდება, რაც ეხმარება არქეოლოგიური ძეგლის თუ მასთან ინტეგრირებული მოდერნისტული ნაგებობის აღქმაში. არქეოლოგ ნუკრი მაისურაშვილთან კონსულტაციისას დავადგინეთ, რომ არქეოლოგიური ძეგლი შემინვას (როგორც ეს კინოთეატრის არსებობის პერიოდში იყო) არ საჭიროებს. იგი ტემპერატურული ცვლილებების მიმართ მედეგია, ატმოსფერული ნალექებისგან დაცვას კი უზრუნველყოფს თავად არსებული შენობა. საგულისხმოა, რომ ჟურნალ “Советская Архитектура” - ს 1972 წლის სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ, კინოთეატრ ”კარიბჭის” ესკიზურ პროექტში ნაგებობის ქვეშ მდებარე არქეოლოგიური ძეგლი შემინული არ არის. (იხ. სურ. 1) ასევე აღსანიშნავია, რომ ამ სივრცის შემინვის შემთხვევაში, ყოველთვის იარსებებს შიგნიდან და გარედან მინების დამტვერვის, ანარეკლის, კონდენსაციის პრობლემა, რაც ძეგლის აღქმას მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს.



სურ. 1

მუზეუმის ეზოში მოაზრებული გვაქვს ქვის კოლექციის შერჩეული ნიმუშების განთავსება, რაც გაამრავალფეროვნებს მასში გადაადგილების გამოცდილებას. ქვის კოლექციის რამოდენიმე ნიმუში ასევე განთავსდება აღმაშენებლის გამზირიდან ამომავალ კიბეზე და ეზოში, აუზში არსებულ პედესტალებზე, რაც მუზეუმში მომავალ ვიზიტორს წინასწარ შეუქმნის შესაბამის განწყობას.

საქალაქო მნიშვნელობის კაფე გამიზნულადაა განთავსებული აღმაშენებლის გამზირთან უშუალო სიახლოვეში. ასეთი კულტურული პროფილის კაფეს არსებობა მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ქალაქისთვის (ფაქტიურად მცხეთაში არ არსებობს მსგავსი ტიპის კაფე), ასევე მუზეუმისათვის, რადგან მას დამატებით შემოსავალს მოუტანს.

მუზეუმის კომპლექსის **მეორე სართულზე**, ვიზიტორი ხვდება ყოფილი კინოთეატრის ფოიედან, კიბის, ან უნარშეზღუდულთა ლიფტის საშუალებით. მეორე სართულზე, ყოფილი **კინოთეატრის ჰოლი** წარმოადგენს გამანაწილებელ სივრცეს საკონფერენციო დარბაზსა და შეხვედრების ოთახს, დროებით და მუდმივი საგამოფენო დარბაზებსა და ბიბლიოთეკას შორის. ამავე სივრცეში სუვენირებისა და წიგნების მაღაზიასთან ერთად შიდასამუზეუმო კაფეტერიაცაა განთავსებული. დამატებითი კაფეტერიის აქ განთავსება მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რადგან ეს სივრცე შენობაში ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი და დატვირთული ადგილია. ასევე, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარების შემთხვევაში კაფეტერია უზრუნველყოფს ყავით შესვენებებით, ლანჩებითა თუ სხვა სახის მომსახურებას. აქვეა სივრცე მუზეუმის გიდებისათვის. საჭიროების შემთხვევაში ჰოლში შესაძლებელია დროებითი გამოფენების გამართვაც.

**ბიბლიოთეკის სივრცე** განთავსებულია მაღალჭერიანი საგამოფენო სივრცის ანტრესოლში, დროებითი საგამოფენო დარბაზის თავზე. სხვაობა დროებითი და მუდმივი საგამოფენო

დარბაზების ჭერის სიმაღლეებს შორისდა ქმნის ამ ორ სათავსოს შორის სივრცით გამყოფ ელემენტს. მიგვაჩნია, რომ ბიბლიოთეკის განთავსება უშუალოდ საექსპოზიციო სივრცესთან ვიზუალურ კავშირში და ფონდსაცავთან ახლოს ხელს შეუწყობს მეცნიერებისთვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნას.

ვიზიტორთათვის ხელმისაწვდომი სივრცის ამგვარი ორგანიზება, საჭიროების შემთხვევაში, საკონფერენციო დარბაზის, საგამოფენო დარბაზისა და ბიბლიოთეკის დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალებას იძლევა. (იხ. მუზეუმის, საკონფერენციო დარბაზის და ბიბლიოთეკისა და ფონდსაცავის ვიზიტორთა ცირკულაციის სქემები გვ.15,16,17)

პირველ სართულზე განთავსებულ **ადმინისტრაციას** სამეურნეო კიბითა და ლიფტით დამოუკიდებელი კავშირი აქვს ფონდსაცავთან, რომელიც ახალი ნაგებობის სარდაფშია განთავსებული და ვიზიტორთა ზონასთან (საკონფერენციო დარბაზი და შეხვედრების ოთახი, საგამოფენო სივრცეები, ბიბლიოთეკა და გამანაწილებელი ჰოლი). შიდა დერეფნის საშუალებით, ის ასევე უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამების სივრცეს. ამგვარი კავშირი შიდასამუზეუმო და ვიზიტორთა ცირკულაციის იზოლირების საშუალებას იძლევა. ფონდსაცავის მიწისქვეშ განთავსება უზრუნველყოფს სამუზეუმო ექსპონატების დაცულობის მაღალ ხარისხს და საცავში კლიმატის კონტროლის ენერგოეფექტურობას.

მუზეუმში **ექსპონატების მიღება-ევაკუაცია** ხორციელდება ნაკვეთის დასავლეთით მდებარე კარიბჭეს ქუჩიდან, რომელიც საგამოფენო დარბაზის დონეზე უკავშირდება ახალი ნაგებობის სამეურნეო კიბის უჯრედს. აქედან სატვირთო ლიფტის საშუალებით ექსპონატები ხვდება ფონდსაცავში ან პირველ სართულზე განლაგებულ ლაბორატორიაში. სამუზეუმო ექსპონატების ცირკულაციის ამგვარი სქემა უზრუნველყოფს მუზეუმში მათი მიღება-ევაკუაციის ეფექტურობის, სხვა ტიპის ცირკულაციის მარშრუტებიდან იზოლირების და უსაფრთხოების მაღალ ხარისხს.

გათბობის საქვაზე მოწყობილია ახალი ნაგებობის დასავლეთ ბოლოში, კარიბჭეს ქუჩისკენ, პანდუსის ქვეშ. გამაგრებული მოთავსებულია ამავე პანდუსის თავზე, ბიბლიოთეკის დონეზე. გათბობისა და გაგრილების სისტემების ამგვარი განლაგება უზრუნველყოფს სისტემის შემადგენელი ნაწილების ახლო მდებარეობას და ამცირებს მასალისა თუ ენერჯის ხარჯებს.

## ***ნაგებობის სტრუქტურა***

კონსტრუქციული თვალსაზრისით, მუზეუმის ახალი შენობა მარტივ, კარკასულ ნაგებობას წარმოადგენს. ნაგებობა რკინა-ბეტონის ფილაზე ზის. ჰიდრო და თბოიზოლირებული რკინა-ბეტონისვე კედლები აქვს სარდაფის სართულს, სადაც ფონდსაცავია განთავსებული. პირველ სართულზე რკინა-ბეტონის კოლონებს შორის მალი 5 მეტრის ტოლია, ხოლო მეორე

სართულზე, სადაც საგამოფენო დარბაზები და ბიბლიოთეკა (ანტრესოლში) განთავსებული, სივრცის ოპტიმიზაციის მიზნით, გადახურვის მოკლე მალის სიგრძე 10 მეტრს აღწევს. ამ მანძილის მალის გადასახურად რკინა-ბეტონის რიგელების ბადისებური სისტემაა გამოყენებული. აღნიშნული ტიპის კონსტრუქცია ეხმიანება ყოფილი კინოთეატრის შენობაში არქეოლოგიური ძეგლის გადასახურად და სამაყურებლო დარბაზის იატაკის მოსაწყობად შემუშავებულ რკინა-ბეტონის ბადისებურ კონსტრუქციას.

არსებულ ნაგებობაზე მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ჩარევა არ ხორციელდება, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მცირე ადაპტაციას: მეორე სართულზე, ჰოლის ჩრდილოეთ არამზიდ კედელში, ორ კოლონას შორის ამოღებულ 5 მეტრიან ღიობს, საიდანაც ახალ ნაგებობას უნდა დაუკავშირდეს გადასასვლელი ხიდი. ორ ნაგებობის დამაკავშირებელი ხიდის ამგვარ გადაწყვეტას "ეწირება" კინოთეატრის სამაყურებლო დარბაზის ორი საევაკუაციო პანდუსიდან ერთ-ერთი - ჩრდილოეთის პანდუსი. მიუხედავად იმისა, რომ პანდუსები კინოთეატრის შენობის არქიტექტურის მნიშვნელოვანი ელემენტებია, ამგვარი "მსხვერპლის" გაღება დასაშვებად მიგვაჩნია, რამდენადაც: 1. რჩება სამხრეთის პანდუსი, რაც აღქმის ძირითადი წერტილებიდან ნაგებობას მხატვრულ არქიტექტურული გადაწყვეტის ავთენტურობას ინარჩუნებს. 2. არსებულ ნაგებობაზე მინიმალური ჩარევის პირობებში, ორი შენობის დამაკავშირებელ ხიდზე დამოკიდებულია კომპლექსის ფუნქციური მთლიანობა და მუზეუმის გამართული მუშაობა.

უნარშეზღუდულთა ლიფტის მოსაწყობად, პირველი სართულის იატაკში, ხვეული კიბის ცენტრში, ხდება მცირე შახტის ამოღება. შახტის ღიობი ემთხვევა სარდაფის გადახურვის ერთ-ერთ მზიდ კონსტრუქციას, მაგრამ გამაგრებას ადვილად ექვემდებარება. ამას გარდა, არსებული ნაგებობის პირველ სართულზე, ხვეულ, მზიდ კედელში ხდება გარდერობში ტანსაცმლის მისაწოდებელი 1.5 მეტრიანი ღიობის ამოღება, რაც ლითონის კონსტრუქციით სათანადო გამაგრების შემთხვევაში, კონსტრუქციულად პრობლემას არ წარმოადგენს.

ახალი ნაგებობის კარკასის შემავსებელ მასალად გამოყენებულია ყვითელი აგური. კედლები აგურის "ფოროვანი" წყობითაა ნაგები და თბოიზოლირებულია. ამგვარი დაბალტექნოლოგიური კონსტრუქციული გადაწყვეტა უზრუნველყოფს ახალი ნაგებობის დაბალ ფასს და შესრულების მაღალ ხარისხს.

## **არქიტექტურული გადაწყვეტა**

ახალი ნაგებობის არქიტექტურული ენა მიზნად ისახავს ძველ ნაგებობასთან იმგვარ დიალოგს, რომ მაქსიმალურად წარმოჩინდეს ძველი ნაგებობის მხატვრული ღირებულება. მხატვრულ არქიტექტურული გადაწყვეტის მთავარი ამოცანაა მოდერნიზმის ტრადიციაზე დაყრდნობით და მისი კრიტიკული გადააზრებით, მოახდინოს გადასვლა გვიანი მოდერნიზმის ჰეროიკული

არქიტექტურიდან ლოკალურ პოლიტიკურ ეკონომიასთან და სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარების დონესთან შესაბამის, დაბალტექნოლოგიურ, მარტივ და ფუნქციონალურ არქიტექტურაზე.

ეს მიდგომა აისახება ნაგებობის მარტივ კონსტრუქციულ გადაწყვეტაში, მოსაპირკეთებელი მასალების მინიმუმამდე დაყვანაში და კონსტრუქციული თუ შემავსებელი ელემენტების ფასადებსა და ინტერიერში წარმოჩენაში. იგივე მიდგომა ვლინდება კარკასის შემავსებლად ყვითელი აგურის შერჩევაში, რაც ფერით ეხმიანება არსებული ნაგებობის მოპირკეთების (ბოლნისის ტუფი) და არქეოლოგიური ძეგლის (ქვა და ალიზი) ფერს. ასევე კედლების აგურის "ფოროვანი" შემავსებელი წყობით დამუშავებაში, რაც ნაგებობას სიმსუბუქეს და მხატვრულ გამომსახველობას სძენს.

### ***არსებული ნაგებობის რესტავრაცია-კონსერვაცია***

მშენებლობის პროცესში აუცილებელი იქნება არსებული ნაგებობის და მის ქვეშ არსებული არქეოლოგიური ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაცია. ამისთვის საჭიროა შემუშავდეს სათანადო გეგმები. პირველადი დათვალიერების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია ყოფილი კინოთეატრის ფასადის დაზიანებების შეკეთება და ინტერიერის რესტავრაცია ავთენტური გადაწყვეტების მაქსიმალური შენარჩუნებით, ორქანობიანი თუნუქის სახურავის მოხსნა და პირვანდელი ბრტყელი გადახურვის აღდგენა.

### ***დასკვნა***

საპროექტო შემოთავაზების სახით, გვსურს წარმოგიდგინოთ ძირითადი პრინციპები, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და მათგან გამომდინარე დიზაინის სტრატეგიები, რომლებიც ადგენენ მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის ნაგებობის პროექტირების ძირითად მიდგომებს და სივრცის ორგანიზების პრინციპებს. სამუშაო დროის სიმცირის გამო, წარმოდგენილი დეტალური დაგეგმარება ესკიზური ხასიათისაა და შემოთავაზებული სივრცითი ორგანიზების ფარგლებში შემდგომი დამუშავების საგანს წარმოადგენს.

შემოთავაზებული პროექტის მთავარი მაფორმირებელი პრინციპებია:

1. ქ. მცხეთის გაერთიანება თბილისის აგლომერაციაში და ამ გარემოებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი ეფექტები მუზეუმთან მიმართებაში.
2. არსებული ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული და ტიპოლოგიურ ფუნქციური რესურსის მაქსიმალურად გამოყენება.

3. მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის სამომავლო განვითარებისთვის წინმსწრები დაგეგმარება.
4. თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების მაქსიმალური დაცვა.

მუზეუმის ესკიზური პროექტი ითვალისწინებს მცხეთის ურბანულ თავისებურებებს, პროექტში მაქსიმალურდ შენარჩუნებულია არსებული ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული და ტიპოლოგიურ-ფუნქციური რესურსი და პასუხობს მუზეუმის სამომავლო განვითარების პერსპექტივებს: ფონდსაცავის ფართი მოთხოვნილზე დიდია; საგამოფენო სივრცეს ანტრესოლის და დროებითი საექსპოზიციო სივრცის ათვისების ხარჯზე დაახლოებით 30%-ით გაფართოების პერსპექტივა გააჩნია; შენარჩუნებულია სამაყურებლო დარბაზი სამეცნიერო, კულტურული თუ საგანმანათლებლო ღონისძიებების გასამართად; სამეცნიერო ბიბლიოთეკა გამოყოფილია საკონფერენციო და შეხვედრების ოთახისაგან ეფექტური სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით; სამომავლო გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, არსებობს მუზეუმის გადაგეგმარების რესურსიც: თუ დროის განმავლობაში სამაყურებლო დარბაზი ვერ დაიტვირთა და საგამოფენო დარბაზის საჭიროება გაჩნდა, შესაძლებელია მასში დამატებითი საგამოფენო დარბაზის განთავსება.

## ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები


სამშენებლო განვითარების პარამეტრები:

ნაკვეთის ფართი - 4600კვ.მ

სამუშეუმი კომპლექსის კ1 – 0.25

სამუშეუმი კომპლექსის კ2 – 0.5

საკონკურსო პირობების დოკუმენტაციაში, ნაკვეთის საკადასტრო გეგმა არ იყო წარმოდგენილი. არაზუსტი საკადასტრო გეგმა, ზომების და კოორდინატების გარეშე, ამოღებულ იქნა ერთიანი საკადასტრო ბაზიდან, რის მიხედვითაც შემუშავდა ახალი ნაგებობის განლაგების გეგმა (იხ. სურ 2). ასევე ამოღებულ იქნა ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითაც დადგინდა ნაკვეთის ზუსტი ფართი. თუმცა, პროექტირების დაწყებამდე აუცილებელი იქნება ზუსტი საკადასტრო გეგმის მომზადება.



სურ. 2

**სართულიანობა:**

ორი სართული ანტრესოლით

**სიმაღლე:**

მაქსიმალური ნიშნული 12.35 მ.



**განაშენიანების ფართი:**

ძველი ნაგებობის განაშენიანების ფართი - **648 კვ.მ**

ახალი ნაგებობის განაშენიანების ფართი - **587 კვ.მ**

სულ, კომპლექსის განაშენიანების ფართი - **1235 კვ.მ**

დარჩენილი ეზოს ფართი - **3362 კვ.მ**

**საერთო ფართი:**

ძველი ნაგებობის საერთო ფართი (სარდაფიანად, არქეოლოგიური ძეგლის გარეშე) – **1109 კვ.მ**

ახალი ნაგებობის საერთო ფართი (სარდაფიანად) – **2007 კვ.მ**

სულ, კომპლექსის საერთო ფართი (სარდაფიანად, არქეოლოგიური ძეგლის გარეშე) – **3116 კვ.მ**

არქეოლოგიური ძეგლის საერთო ფართი - **448 კვ.მ**

**სამშენებლო მოცულობა:**

ძველი ნაგებობის მოცულობა (არქეოლოგიური ძეგლის გარეშე) – **6392 კუბ.მ**

ახალი ნაგებობის მოცულობა - **9117 კუბ.მ**

სულ, კომპლექსის მოცულობა (არქეოლოგიური ძეგლის გარეშე) - **15509 კუბ.მ**

არქეოლოგიური ძეგლის სივრცის მოცულობა - **2484 კუბ.მ**

**ავტოსადგომების რაოდენობა:**

მსუბუქი ავტომობილისთვის 10 სადგომი, ტურისტული ავტობუსისთვის 1 სადგომი.

**სავარაუდო ღირებულება:**

ახალი ნაგებობის მშენებლობა, არსებული ნაგებობის რესტავრაცია და ეზოს კეთილმოწყობა -  
მაქსიმუმი 3.500.000 ლარი.

### **რეალიზაციის ეტაპები:**

#### **1 ეტაპი:**

ახალი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები - 5 თვე

#### **2 ეტაპი:**

ძველი ნაგებობის სარესტავრაციო და ახალი ნაგებობის მოსაპირკეთებელი სამუშაოები - 5 თვე

#### **3 ეტაპი:**

ორივე ნაგებობაში აღჭურვილობის სამონტაჟო სამუშაოები - 4 თვე

#### **4 ეტაპი:**

ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 2 თვე

**სულ:** 16 თვე

### **რეკომენდაციები**

1. რამდენადაც შემოთავაზებული პროექტი გულისხმობს არსებული ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული სახის მაქსიმალურად შენარჩუნებას, უმნიშვნელოვანესია ნაგებობამ მშენებლობის დაწყებამდე მიაღწიოს მაქსიმალურად დაცული სახით. დღეს ყოფილი კინოთეატრის შენობა ყველა შესასვლელიდან ღიაა და გადაქცეულია ნაგავსაყრელად. არსებობს ხით მოპირკეთებულ სამაყურებლო დარბაზში ხანძრის გაჩენის საფრთხე. (რამდენიმე ადგილას აღინიშნება ცეცხლის კვალი. საბედნიეროდ, როგორც ჩანს, ამჯერად შენობა გადაურჩა ხანძარს). მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ ნაგებობის დაცულობა, რადგან იგი წარმოადგენს თავისი დროის მნიშვნელოვან არქიტექტურულ ობიექტს და მუზეუმის ადაპტაციის შემთხვევაში მისი არქიტექტურულ-მხატვრული თავისებურებები მუზეუმისთვის დამატებით ფასეულობას შექმნის.
2. პროექტირების დაწყებამდე მომზადდეს სამშენებლო ნაკვეთის ზუსტი საკადასტრო გეგმა



კინოთეატრ  
"კარიბჭე"-ს შენობა  
არსებული  
მდგომარეობით



ხელი სამხრეთ-დასავლეთიდან

ხელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



## მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯთაღრიცხვა

14 მაისი 2014 წელი

#	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება ლარებში
	<b>ადაპტაცია-განვითარების პროექტის შედგენა</b>	
1	ფოტოფიქსაცია	200,00
2	სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები	950,00
3	გეოლოგიური კვლევა	1500,00
4	არქიტექტურული ნაწილი	24000,00
5	სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია	2000,00
6	კონსტრუქციული ნაწილი	6000,00
7	საინჟინრო ნაწილის (გათბობა, ვენტილაცია, წყალმომარაგება, კანალიზაცია) პროექტირება	9000,00
8	ვერტიკალური დაგეგმარება	400,00
	მშენებლობის ორგანიზების პროექტი	400,00
9	დეტალური ხარჯთაღრიცხვა	1000,00
10	ჯამი	45450,00
11	ზედნადები 10%	4545,00
12	<b>ჯამი</b>	<b>49995,00</b>



კოლი

ქინოთეატრ  
"კარიბჭე"-ს შენობა  
არსებული  
მდგომარეობით



ფოიე



სამეცხურებლო დარბაზი

# CV ასაბაშვილი თორნიკე

დაბადების თარიღი და ადგილი: 10/11/1983, თბილისი  
მისამართი: უხევის ქუჩა №1 0105, თბილისი, საქართველო  
ტელ: [995 32] 986 900  
მობ: [995 99] 956 715  
ელ.ფოსტა: Tornikeasabashvili@gmail.com

## ბანათლება

- 1990-2001 III მსხვირმინტალური სკოლა. თბილისი საქართველო.
- 2001-2006 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი, სამოქალაქო არქიტექტორის სპეციალიზაცია. სადიპლომო ნამუშევარი: უსინათლოთა სასწავლო სარეაბილიტაციო ცენტრი. ხელ. პროფ. ნანა შუთათელაძე
- მაი-ოქტ. 2006 კაიზერსლაუტერნის ტექნიკური უნივერსიტეტი, გერმანია. სივრცისა და ადგილის დაგეგმარების ფაკულტეტი.

## სამუშაო გამოცდილება

- 2013 - დღემდე შპს “თ.ა.” ტელ: (+995 99) 956 715  
თანამდებობა: არქიტექტორი
- ივლ. 2010-ნოემ.2013 ტექნიკური დიზაინის სტუდია “TDS” კავსაძის ქ.№4 0179 თბილისი. საქართველო ტელ: (+995 32) 253185 ელ.ფოსტა: [info@tds.ge](mailto:info@tds.ge)  
ვებ: [www.tds.ge](http://www.tds.ge)  
თანამდებობა: არქიტექტორი
- დეკ. 2008-ივლ. 2010 “არსი” არქიტექტურა და სამშენებლო გენერაციონტი. თაბულაძის ქ.21 0162 თბილისი, საქართველო. ტელ: (+995 32) 251 904 ფაქსი: (+995 32) 251 456  
ელ.ფოსტა: [info@arci.ge](mailto:info@arci.ge) ვებ: [www.arci.ge](http://www.arci.ge)  
თანამდებობა: არქიტექტორი. მონაწილეობა არქიტექტურული პროექტების განვითარებაში, ესპიზური დონიდან მუშა დოკუმენტაციამდე, ურთიერთობა კლიენტებთან და კონტრაქტორებთან.
- ოქტ.2006-ნოემ. 2007 არქიტექტურული სტუდია “არქიტექტორები.ჯი” უხევის ქ.18/5 0102 თბილისი, საქართველო. ტელ: (+995 32) 910 703 ფაქსი: (+995 32) 910 704  
ელ.ფოსტა: [architects@arch.ge](mailto:architects@arch.ge) Web: [www.architects.ge](http://www.architects.ge)  
თანამდებობა: არქიტექტორი

## პრაქტიკა

- ივლ.-დეკ. 2010 “Designed by Erick Van Egeraat” კოლანდია. არქიტექტურული კომპანია. 23 Calandstraat str. 3016 CA Rotterdam, The Netherlads. Tel: +31(0)10 436 9685 Fax: +31(0)10 436 9573  
Email: [info@erickvanegeraat.com](mailto:info@erickvanegeraat.com) Web: [www.erickvanegeraat.com](http://www.erickvanegeraat.com)  
თანამდებობა: არქიტექტორი
